

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რადოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში; გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoвъ“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნაბეჭდი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

დროება

გამოდის ყოველ-ღეო ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. განცხადების
ნებისა ითვლება მათგან დაქვრივად დაგვიანდა
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამოიკ
ლებს დასაბუჯად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდა წერი
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль, Москва, Петровка, № 6.

შედეგი ნოემბრი გამოვა მაისის 11-ს

თბილისი, მაისის 9-ს.

სათვალ-აზნაურო კრება წრეულს
განსაკუთრებით გაცხოველებულია.
მრასამდე თავად-აზნაური ესწრება
ყოველ-ღეო ამ კრებებს და სხვა მრავალი
გარეშე მაყურებელი. ძალები
ხორბზედ რომ ვეღარ ეტყვიან, სხვა
ოთახებში დალაგდნ და იქილამ უგდდ-
ბენ ყურს ბასს.

მეორე ღღეს, სამშაბათს, სხდომა
გაიხსნა თავმჯდომარის სიტყვით და
წარსული პროტოკოლების წაკითხვით.
პირველად კრებამ ერთხმად გადაწყვი-
ტა უქვეშევრდომესი მადლობა განუ-
ცხადოს ხელმწიფე იმპერატორს რეს-
კრიპტის ბოძებისათვის.

შემდეგ თავმჯდომარემ წაუკითხა
კრებას თ-ლი ბარიათინსკის ქონების
აპეკუნის წერილი, რომლითაც იგი
აქნობებს თავად-აზნაურობას, რომ
სურვილისამებრ კნენა მლ. ბარია-
თინსკისა თავად-აზნაურობას უბრუნ-
დება თოფი მკუფი ნაკვასს, რომე-
ლიც თავად-აზნაურობამ მიართვა თა-
ვადს მის მთავარ-მმართველობის დროს,
რათა ეს ისტორიული განძი შენახულ
იქმნას ისევე თავად-აზნაურობის შო-
რის. მოფთან ერთად თავად-აზნაუ-
რობას მოუვიდა აგრეთვე დიდი სუ-
რათი თ-ლი ბარიათინსკისა, რომე-
ლიც ამ ჟამად გუბერნიის წინამძღო-
ლის სადგურშია.

კრებამ ერთხმად მადლობა გამოუ-
ცხადა შემომწირველს მრავლად პა-
ტივეცემულს კნ. მლ. ბარიათინსკი-
სას.

შემდეგ წაკითხეს პროტოკოლები
წარსულის სხდომისა. აქედამ აღმოჩნ-
და, რომ არც ერთი ამ პროტოკოლ-
თაგანი ჯერ არ შესრულებულა.
შითავერესი პროტოკოლი შეეხებოდა
სკოლის ფულის გაწერის საქმეს. სა-
მის წლის წინად საგუბერნიო კრებამ
გადასწყვიტა ამ ფულის გაწერა მთელს
თავად-აზნაურობაზედ. ეს საქმე მიენ-
დო მაზრის კრებებს, რომელთაც
უნდა ამოერჩიათ კომისიები ფულის
გასაწერად, კომისიებს გაწერილობა
წარედგინათ მაზრის კრებებისათვისვე
და შემდეგ დამტკიცებისა გაგზავნათ,
გუბერნიის მარშლის შუამავლობით,
შინაურ საქმეთა მინისტრთან საბო-
ლოდ გადასაწყვეტად. აღმოჩნდა,
რომ მარტო ოთხს მაზრას წარუდგე-
ნია გაწერილობა ამ სამს წელიწადში
და ისიც მხოლოდ ამ უკანასკნელს
ხანს და სიღნაღის მაზრას, გაწერი-
ლობის მაგიერად, წარმოუდგენია მაზ-
რის კრების პროტოკოლი, რომლის

ძალითაც უარ-ჰყოფენ პირველ ორს
კატეგორიას და სამის წლის მაგიე-
რად, რომლის განმავლობაშიაც უნდა
შესრულდეს გაწერილი ფული თხოუ-
ლობენ ხუთი წლის ვადის და-
წესებას. ხანგრძლივი ბაასის შემდეგ,
კრებამ სთხოვა სიღნაღის მაზრის თა-
ვად-აზნაურობას უკანვე წაიღოს თა-
ვის პროტოკოლი, შეათანხმოს იმ
პროტოკოლს, რომელიც საზოგადო-
კრებამ სამის წლის წინად საბოლოოდ
მიიღო, მოახდინოს სამის თვის გან-
მავლობაში გაწერილობა და წარმო-
უდგინოს გუბერნიის მარშალს წესი
სამებრ გასაგზავნად შინაურ საქმეთა
მინისტრთან.

სხვა პროტოკოლების შესახებ აღ-
მოჩნდა, რომ მომეტებული ნაწილი
კომისიებისა, რომელთაც მინდობილი
ჰქონდათ მათი შესრულება, თავისით
ვერ შეყრილან, რადგან თავმჯდომარე
არა ჰყოლიათ და სხვასაც არავის
შეუყრია. ზოგიერთ კომისიებს ცდით
რომ გული გადალევიათ, როგორც
იყო, შეყრილან, შეუშუშავებით მათ-
დამი მინდობილი საგანი და მალე
აპირობენ თურმე წარდგენას.

მასუკან კრებამ მიიღო თხოვნა კნ.
შალავენიძეისა, რომლის ქმარი
გაგზავნილია ჩხუბში ძმის დაქრის-
თვის. კრებამ გადასწყვიტა იშუა-
მდგომლობის მის დაბრუნებისათვის.

ბოლოს თავმჯდომარემ სთხოვა
კრებას საჩქაროდ გადაწყვიტა „მცი-
რე“ საგანი, რომელიც რამოდენიმე
უცხო პირის თბილისის გუბერნიის
თავად-აზნაურობაში ჩაწერას შეეხე-
ბოდა, მაგრამ კრებამ საჭიროდ დაი-
ნახა ამ საქმის დაწერილობით განხილ-
ვა და მეორე ღღისათვის გადასდო.

ნადიმი

კოსტანტინე ქრისტეფორეს-იქ

გადაცაზვილის

პეტევის - სვცემლად.

ტყუილად არ ვუწოდებთ სათაურში
ამ სადილს „ნადიმი“ და არა „სადი-
ლი“. ეს მართლა რომ ნადიმი იყო,
ნადიმი გულ-მხიარული, ლხინით სავ-
სე, მრავალი საამო შთაბეჭდილების
აღმძრავი და გულში ჩამწერავი.

სწორედ სამი საათი იყო, როცა
პატივეცემული კოსტანტინე თავის მე-
უღლით „მასას“ ბაღში მობძანდა;
კარებილამ მიყოლებული მტკერის პი-
რამლის გრძელს ხეივანში დას-დასად
ეგებებოდა მას აქ თავ-მოყრილი ხალ-
ხი. ცოტა მოშორებით იდგა მოწვეუ-
ლი დასი მილიციონერებისა. მტკერის

პირილამ მოისმა უცებ ტყბილი ღუ-
ღუკის ხმა.

ას-ორმოცამდე კაცი შეიყარა. მათ
შორის იყვნენ ქალები, მასწავლებლე-
ბი, სამხედრო პირნი, ქალაქში მოგ-
როვილი თავად-აზნაურობა.

ბოლოებამდე ამოიჩიეს ჩვენი ენა-
მგვერი პოეტის თ. რაფ. ქრისტეფორესი,
რომელმაც ამაყად გადახედა შორს
მანძილზე გამწკრივებულს საზოგადო-
ებას და შეშინების მაგიერად კმაყოფი-
ლება იგრძნო, რომ ამისთანა ძნელი-
საქმე არგუნეს.

სადილის დასაწყისში წამოდგა ტო-
ლოებამდე და სთქვა: ღღევანდელი ნა-
დომი მოხდა იმისთანა ღღეს, რო-
მელსაც მთელი იმპერია ღღესასწაუ-
ლობს ეს არის დაძალების ღღე რუ-
სეთის ტახტის მემკვიდრისა. ღღერთმა
აღღეგრძელოს იგი! მრთხმივი „ურა“
იყო პასუხი ამ საღღეგრძელოსი.

მასუკან ტოლოებამდე მშვენიერის
სიტყვით განმარტა მნიშვნელობა ნა-
დომისა და დალია საღღეგრძელო ამ
ნადიმის „მიზნის“ კოსტანტინე მამა-
ცაშვილისა.

მთელი საზოგადოება ფეხზე წამოდ-
გა და გაემგზავრა პატივეცემულ მო-
ხუცისკენ, რომ უფრო ახლო დამ-
ტკიცებინა მისთვის თავის ღრმა პა-
ტივისცემა.

წამოდგა ფრიად აღღღეგრძეული მო-
ხუცი და პასუხად შემდეგი სიტყვა
სთქვა:

ბატონებო! თქვენ საჭარად ამ ნადი-
მზედ ისეთი დიდ-ბრწყინვალე პეტევი მე-
ცით ჩემი მცირე მოღვაწეობის გამო ჩვე-
ნი ახალგაზდობის განათლების შესახებ,
რომ მე, აწ ადღეგრძეულს და გრძნობა-
მორეულს თქვენის ჩემდამო მოქცეულის
განსაკუთრებულის ყურადღებით, არ ძალ-
მის სრულიად გამოვსთქვა თქვენს წინა-
შე ის გულისათადი პეტევისცემა, რომელ-
საც ესლავ ვგრძნობ; მაგრამ მანცა და
მანცა გიძღვნით გუღღღეულს მადღობას
ჩემის ასეთის პეტევის-ცემისათვის.

იმ დროს, როდესაც ჩემი სიცოცხლის
დღენი ითვლებიან, მე განსაკუთრებით
ის მასწავლებს, რომ ჩვენს ქართველს სა-
ზოგადოებაში გაიღვიძეს კეთილ-შობი-
ლურთა და საუკეთესო ღირსებათა, რომ-
ელნიც ყოველთვის ქართველის ერის
თვისებას შეადგენენ; აფასებენ თავისთ
თანამემამულეთა ღვაწლს, რა გინდ უნდა
მცირე იყოს ეს ღვაწლი. ეგვას განათ-
ლებულს ხაღსს თავის ქვეყნის წარმატე-
ბის დასაწყისში საკეთარნი ოღიში ქა-
ნათ, როგორც მაგალითად უწინდელს
ბერძნებს და ამ ოღიშიზუდ იგრძეობადენ
იგინი და ადგამდენ გვირგვინს თავიანთ
მამულის შვილებს, რომელთაც კი რითი-
მე ესასქლათ თავი საზოგადო მოღვაწეო-

ბის და განათლების ასწავლებლად, თუ
გინდ რომ მცირეც ყოფილიყო მათი
ღვაწლი.

ეს ნადიმი ცხადად გვიჩვენებს თუ რა
დიდი თანაგრძნობა უღვივის გულში
ჩვენს ესლავდელს საზოგადოებას განათ-
ლებისადმი და გრწამდეთ, რომ ასეთის
გულ-მსურვალე მისწრაფებით წარმატე-
ბისადმი უკუგვად ჩვენის გულის წადილს
მივაღწევთ.

აქ არიან საუკეთესო წარმომადგენელ-
ნი ჩვენის ქართველის საზოგადოებისა,
ჩვენის ინტელიგენციისა.

თქვენ კარგად უწიეთ ჩვენი წარსული
და აწყო. მე მტკიცედ მწამს მომავალი
განათლება ჩვენის მშვენიერის ქვეყნისა,
რავი ვინცთა ქართველს ერს, ჩემს თა-
ნამემამულეთ, მათს ბუნებრივს ნიჭს
და გულას-სმიერებას. ჩვენ დღევანდელ-
დის გვაკლდა ერთსულოვნება და მეთაუ-
რობა, ესლავ კი ამის შესახებ ჩვენს სა-
ზოგადოებაში საუკეთესო ნიშნებს ვსე-
დავ.

მე არა ვკარგავ იმედს, რომ მომავალი
უკეთესი არ იქნება.

ჩემის ცხოვრების დღის მიწურვის
დროს მე მსურს, რომ ჩვენს განათლე-
ბულმა საზოგადოებამ ჩვეულებად დას-
დოს ყოველს წელს შევიკრიბოთ სადმე
ჩვენის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად
იმ მოღვაწეთადმი, რომელთაც საზოგა-
დოების სასარგებლოდ უმუშავნიან; მა-
შის, დაემწმუნეთ, თქვენს ქვეყნით ჩემ-
ზედ გულ-მოადგინე, ნიჭიერ და სასარ-
გებლო მოღვაწეთ.

და იყოს ჩემი რჩევა ასლდის თაობი-
სათვის ჩემი უკანასკნელი ანდერძი!

ამ სიტყვის შემდეგ წამოდგა მოხუ-
ცი პოეტის თ. ვახტანგ ორბელიანი
და სთქვა:

ბატონებო! კოსტანტინე ქრისტეფო-
რეს მე მამაცმეილი, რომლის გულითა-
დის პეტევის-ცემის გამოსაცხადებლად
დღეს ჩვენ აქ შევიკრივართ, არ არის
მამაცმეილების გვარში პირველი, რომ-
ელმაც არ დაზოგა ღვაწლი და შრომა
და შესწირა თავისი სიმთევე თვის მემ-
მულეს მეთ. მამაცმეილების გვარი, არის
დიდად ძველი და ისტორიული გვარი. ამ
გრძელს ჩემს ცხოვრებაში მიცენია ვინც
ყოფილან მამაცმეილები და ზოგნი მათ-
განნი მიცენია ასლად. ყველანი ყოფი-
ლან სიჭკულის და კეთილშობილურის
გრძნობით სავსენი; და თუ მოვიგონებთ
ძველთა დროთ და ძველთა საუკუნეთ,
მამის თვალ-წინ წარმოგვიდგება მამა-
ცმეილების გვარში დიდი ისტორიული
ფაქტი. როდესაც ორასის წლის არაბთ
მიღობებლობის ქვეშ. საქართველო იყო
დასტურული და უკანასკნელს განწირულე-
ბაში, მამის რუისში, მამაცმეილების
სახლში, უბრალო ქოსში, არაბთაგან უც-

ნობად, მიმალულად, იხდებოდა ერთი ბაღი; მამაცაშვილებმა გაზარდეს ის ბაღი, შთაუბრუნეს თავიანთ მსურველ სიყვარული მამულისა და ქრისტეს სარწმუნოების გრძობა, თავიანთი მამაცობა და ქველგობა. რაკი სიჭაბუკეში შევიდა, ის ბაღი გაიყვანეს ჩერქეზებში, გარს შემოახვეს მთელნი ჩერქეზნი, ოსნი და მთლად შუა კავკასიის საღვთო; იმ დიდის ღაშქრით და მამაცაშვილების წინამძღოლობით მომართა იმ ჭაბუკმა საქართველოს, დაეცა არაბებს, დაამარცხა პირველს ბოლანშივე. მამაცაშვილებმა აღმოჩინეს მთელი საქართველო, ჭაბუკი მიესია არაბებს, განდევნა იგინი საქართველოდამ და საქართველო განათავისუფლდა, ახლად აღადგინა. ის ბაღი, რომელიც გაზარდეს მამაცაშვილებმა თავის ქონში, იყო დიდი დავით აღმაშენებელი. დავითის მადლი იყო, რომ არაბებმა ვერ შეიტყვეს ისა ზდიდენ მამაცაშვილები თავიანთ ქონში: თუ შეიტყვით, აღარ იქნებოდენ არც აღმაშენებელი და არც მამაცაშვილები. ამისთანა ყოფილა მამაცაშვილების გვარი და უნდა გვისწავლოს რომ მოგვეცადეს შემთხვევა ჩვენი გულის გრძობა და გულისთავი მამაცაშვილების გამოგვიცხადოთ საქართველო ამ გვარადგან შთამომავალს კონსტანტინე ქრისტეოფორის-ძეს, რომელიც დიდი და დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს.

სიტყვის შემდეგ წამოღვა ბორის მიზრის წინამძღოლი და ქებით შეამკობოსტ. მამაცაშვილის მოღვაწეობა. მასუკან წაკითხულ იქნა რამდენიმე მხურვალე თანაგრძობის ტელეგრამა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში მოსული: მუთათისილამ, შვირილილამ, ძერულილამ, ბორილამ, ბურილამ და სხვ.

ამის შემდეგ მრავალი საღვთოცხლო დაილია და სხვათა შორის საღვთოცხლო თ. ბიორგი რომანის-ძის შრისთვისა, რომელსაც ეკუთვნის პირველი აზრი სათავად-აზნაურო სკოლის დაარსებისა. საზოგადოებამ ერთხმად გადაწყვიტა თანაგრძობის ტელეგრამის გაგზავნა სოხუმში, სადაც ამ ჟამად იმყოფება თ. ბიორგი.

რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა, რომელთა შორის შესანიშნავი იყო სიტყვა პაკისა; ჩვენის საყვარელი მწერლის პოეტურს ნიჭს თითქმის უფრო თვებში შეასხა საერთო მხიარულებამ და უფრო გამოაჩინა თავის უხვად დასაჩუქრებული ბუნება.

ბი ეს სიტყვა: ბატონო კონსტანტინე! გარის მზრის თავდაზნაურობის წინამძღოლად—და არა წინამძღოლად, თავადმა შალიკაშვილმა გიწოდა თქვენ „მთესველად“ კეთილისა!.. ჩვენც ყველა ერთხმად ვუთხარებთ. თქვენ უნასუხეთ, რომ „კითხვით თქვენი ღვაწლი სამოქმედო-სარბიელზედ მტრეყოფილიყოს და თქვენც თქვენდა თავად უძღური მუშა იყოთ“. ამისი კი წინააღმდეგი ვართ, და დასამტკიცებლად გორგორც პირველის, ისე მეორე აზრისა, უნდა მოგახსენოთ რამდენიმე სიტყვა.

ბატონებო! სიტყვა თესლია, საქმე—ნამყოფი; გორგორც ნამყოფს თესლი, ისე საქმესაც

ყოველთვის სიტყვა წინა-უსწრობს. ამით რჩევს თავ-თავის შესაბამისი დრო და იარაღი აქვს: ხვან-თესვის დროს ნამყოფის ცრიალი და მკის დროს სახსინის ხელში ალება უგუნრად მოცდენა. გონიერმა მუშამ იცის რომელი რა დროს იმართოს.—ეს ოც-და-სუთი წელიწადია, რაც ჩვენ თვალ-უწინ ვადევნებთ ჩვენის ცხოვრების მოძრაობას და წინ-მსვლელობას.. დღეს უნდა სიამოვნებით აღვიაროთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენც გვეოლაის კეთილი მუშები და მოთხედ—საუკუნეს უნამყოფოდ არ ჩაუვლია. მხოლოდ ბოროტ-გამძასკვეს და უგუნრს შეუძლიან გვეითხოს: „გვიჩვენეთ სად არის შრომის ნამყოფი?“ გასაფრუსელის მუშის ხვნისა და თესვის დროს, რომ ვინმე მიადგეს და ჰკითხოს: მავ თესვს რომ ახვევ, სად არის ნამყოფი,—ამას შეუძლიან თამამად უხასუნოს: შე-მოდგომის დროს მოძმანდით აქვე და მშინ ამოსული და დათვთავებული ჭირ-ნასული გიძასუსებთ. დღევანდელად ჩვენი შრომაც მოსკვლავა იყო, სიტყვითი შრომა და ნამყოფი უნდა მამულში მოვიკითხოთ. თუ ჩვენ ვერ მივაწევით იმ დრომდე, ჩვენი შვილები ხომ მანაც მოქსწრებან და დაფასებენ აწინდელ ღვაწლს.—ორგვარია ღვაწლი: მოციქულური და რანდული, ანუ მოწამებრივი. ეს უკანასკნელი უფრო წამიერია, თავდასხინო; პირველი კი სანგრძობია და თავუხინარი.—ამას გარდაც მოწამებრივი ღვაწლი სმირად მტრის გულსაც სტკეზავს და იგებს, მოციქულური კი, როგორც სიტყვითი, მოყვრებსაც იარგულს. ამ საზოგადო კანონს, რასაკვირველია, ვერ ასცდენ ჩვენი მუშები: აუხნდენ მტრები, მოწინააღმდეგეები და ხელს უშლიდენ. თუ ეს ასე არ ყოფილიყო, დღეს მშრომელთა რიცხვი ერთი ასად და ათასად მომეტებული იქნებოდა. ასალ-გაზდა რომელსაც ვერ ცხოვრების ტალღა არ შეშეფებია, ყოველთვის კეთილი გრძობა-გონებისაა. ვინ არ იცის, თუ რა ტანჯვას ითმენენ ჩვენი შვილები სხვაგან სწავლის დროს: შიმშილს, წყურვილს, სიშიშვლეს და სს... და სს... ამით მხოლოდ ერთი ნუგეში ასულ-დგმულებთ. ის ნუგეში, რომ მალე დაბრუნდებიან სამშობლოში და კისრად იღებენ მოციქულურბრის შრომას. ჩამოსვლის შემდეგ კი უმეტესი მათგანი კვლავ იტანს ბრძოლას და უგუდგება. გვჩნება მხოლოდ მტრეწაზმი, მაგრამ ის მტრეწაზმ არ იქნებოდა, თუ რომ მასთან გაცემა როგორც პანდებს ბ. კონსტანტინე, აქა-იქა არ ერიონ ჩვენს მუშებს, როგორც წაღვრეტი უდაზნოში, და თვისის თანაგრძობით გულს არ უკეთებდენ და არ ამსხვედენ ჩვენს მშრომელებს სამაგეოროდ.—ნიშნად თანაგრძობისა და მამაცაშვილის სიყვარულსა, აი, რას ღიჯანიაობს დღეს ჩვენი მოწამებრივი რაზმი და სიყვარულით შეჭხინის ღირსეულ მამას. გარეგნის ნიშნებით რომ გაცემა მოიმეოს პატრიის-ცემა, ამისთვის საჭიროა პირადი ცნობა და უთუოდ თავადში შეხინრვა. მაგრამ არის მასთან ღირსეუბაც, რომლისთვისაც არც პირადი ცნობა და არც ახლას დგამა არ არის საჭირო. ამას გვიმტკიცებს ის რომ დღეს იმისთანა გუთხევიდან ჩვენის ქვეყნისა, სადაც, ეგება, ბ. კონსტანტინეს

ფესიც არ დაეგვას, იმისთანა პირებისგან, რომელთაც არადაეს არ უნასავთ ბ. მამაცაშვილი, მოგვდის თანაგრძობითი წერილები და დებუშები!.. ისინიც ჩვენთან ერთად, მადლობის გადამსდენი წასულისათვის, მსურველნი არიან ბ. კონსტანტინეს დღევანდელსა. დღევანდელი იყონ, ბ. კონსტანტინე და მისი მსგავსი გაცემა.

სადილის შემდეგ გაიმართა მშენებრივი ლეკური და წმინდა ქართული სიმღერა. საღამოს რვა საათზედ პატრივცემული მოხუცი სიმღერით და მხიარულებით გააცილეს.

შინაური ქრონიკა

ღღღ ღღღ, ხუთშაბათს, საღამოს ხუთილამ შეიღეს საათამდის ძაგასიის აკლიმატიზაციურს ბაღში გამოსაცდელად შეყრიან ვაზებს დანაყილს გოგირდს ნაცრის მოსარჩენად. მს საშუალება საუკეთესო წამლად ითვლება ვაზის სენის, ნაცრის (Oidium Tuce-rii) გასარიდებლად, ამისათვის სასურველია, რომ ჩვენი მამულის პატრონები დაესწრონ ამ წამლის გამოცდაზედ, სადაც იგინი თავიანთ თვალთ ნახვენ ერთს უბრალო და იაფს წამალს წინააღმდეგ ნაცრისა, რომელიც ასე გაფრცხლებულია ძაგასიაში და ძალიანაც ამცირებს ყურძნის მოსავალს.

იმავე ბაღში შეიძლება ნახოთ აბრეშუმის ქვის გასაშენებლად სამეგალითო სახლი, რომელიც დააარსა ძაგასიის სამეურნეო საზოგადოებამ, რომ ჩვენთ აბრეშუმის მწარმოებელთ თავიანთ თვალთ ნახონ და შეისწავლონ აბრეშუმის მოშენების საუკეთესო წესი.

ბაღში შესვლა უფასოდ არის და კარები ღია იქნება მუშტაილის ხეივანის მხრიდან.

ღღღ ჩვენი ვაზეთის ამ წლის 91 №-ში მოხსენებული იყო, რომ მუთათისის გუბერნიის ვაზნა ერთგვარი ჭია, რომელიც საშინლად აფუჭებს ვაზსაო. მისის ნ-ს მომხდარს ძაგასიის სამეურნეო კრებაზედ ბ-ნს ლინცერბერგს უთქვამს, რომ ამ ქიას იმერეთში „ბუკლას“ (?) და ძახეთში—„ფრანგს“ ეძახიანო. იმერეთში ეს ჭია აგერ ათი წელიწადია რაც ვაზნა და ზოგიერთა ბაღები ისე წაანდინა, რომ ნახევარს მოსავალს ძლივს იძლევიანო. მს ჭია ვაზნაფულდება თუ არა, ხერტავს ვაზის კვირტს და ისე აფუჭებს, რომ კვირტი აღარ იზრდება. ზოგიერთა ვაზებს სრულიად უხდენს კვირტს, ასე რომ ერთს კიმელა ყურძნის აღარ იბამს. მს ჭია რუსეთში ჯერ არ გამოუკვლევიათ და თუ იგი ის ჭია გამოდგება, რომელსაც საფრანგეთში „პირალს“ ეძახიან, მაშინ მის წინააღმდეგ ენერგიული საშუალებანი უნდა ვიხმაროთ, რადგანაც საფრანგეთში იგი სწრაფად მრავლდება და ღიდი ზარალიც მოაქვს. რადგანაც ამ მწე-

რის ცხოვრება ისე მიღის, რომ მანებელი ჭია გამარჯვებულად არა კვირტხილამ, მაშინვე ქვირტის საშუალებით ადგილზედ ჩამოდის და შემდეგ ძვრება ყველა ფუტურო ხეებში და თვით ვაზის ქერქში და იქ ატარებს ზამთარს, ამისათვის ამ ქვის გასაწყვეტად ფუტურო ხეები და ვაზის ქერქები უნდა გაიხინჯონ ხოლმე; ამისათვის საჭიროა, რომ ვაზის გასხლილი ტოტები და ყოველივე ხმელი წნელები ზამთარში ბაღშივე დაიწვას და არ იხმარონ შემოსალობად და ბანების დასახურად, როგორც ზოგიერთებმა იციან. თვით ვაზსაც ქერქი უნდა შემოეცალოს და დაიწვას, სარებს კი ცხელი წყალი ან ნავთი უნდა დაესხას, რადგანაც ამით მწერები სწყდებიან. რადგანაც პეველა „ბუკლა“ ღამე მფრინავ პეველების რიცხვს ეკუთვნის, ამისათვის კარგი იქნება ღამ-ღამობით ვენახებში ცეცხლი დაინთოს: ეს პეველაც, როგორც ყველა სხვა ღამის პეველები, ცეცხლს ეტანება და იწვის. ამ საქმისთვის შირიმში მართავენ ფარნებს, რომელთაც ვარდამ ჩიტის წებოს უხმენ და ყველა ღამის პეველები მათ ეკრობიან და წყდებიან; შირიმში მებაღეები ვალდებულნი არიან ამისთანა ფარნები ზაფხულობით ყოველს ბაღში დაანთონ ხოლმე.

ღღღ ზუგდიდის მაზრის სოფ. ხეთის სკოლის მასწავლებელი შარნაოზ შინხავე შემდეგს ამბავსა გვეწერს იქაური ფოსტის ზედამხედველს ბ-ნს ანტონოვზედ: წასულ აპრილის 30-ს მე ვიყავი დაბა ზუგდიდში, სადაც საღამოდის დაჯინა. რაკი სურვილი მქონდა, რომ მეორე დღეს გავეთილები არ გამეშვა ჩემს რწმუნებულს სოფ. ხეთას სკოლაში, რომელიც ზუგდიდის 20 კვარტის სიშორეზეა. ამ საღამოს თერთმეტ საათზედ მივედი ზუგდიდის ფოსტის სტანციაში, წარუდგინე ზედამხედველს ანტონოვს გაზარდა გასაშვები (წერილი подорожная) და ვთხოვე მოეცა ჩემთვის წველი ცხენი; ზედამხედველმა პირველად განკარგულა მოსდინა და უბრძანა სტაროსტას, სვედრი ქირა აეღო ჩემს და კვიტანცია მოეცა და ყოველივე ეს მან მაშინვე შეასრულა. როდესაც ცხენები შეაბეს, ზედამხედველი უფრად რაღაზედც გაბრძნა, დაგვანსიდა როგორც მე ისე ვურბები, და ცხენები გამოაშვებინა იმ მიზეზით, რომ ესლას წასვლის დრო აღარ არისო. მოვიხდომე საჩივრის დაწერა, და ბუკრი ძეხის შემდეგ წიგნი გრაფოტ ქვეშ ვიპოვე და როდესაც დავიწვე საჩივრის წიგნი წერა ზედამხედველის ასეთს საქციელზედ, მან წიგნი ხელიდან გამომტაცა და შეიტანა თავის ოთახში. ამ ნაირად ფული კი გამამართვეს, მაგრამ წავყვანიოთ კი აღარ წავუყვანივართ. როდესაც წასულა დავაპირე, სტაროსტა მომვარდა და მითხრა, რომ ესლას ეს ბატონი ანტონოვი ცოტა გადაჭრულია და უნდა მოიცადოს, სანამ გამოფხისლდება; მანამ კი ცხენებს არ მოგვემს, ეს ჩვეულებათ ასე აქვსო.



„დროების“ კორესპონდენციები

ს. კარდანი, აბილი 20-ს. ს. კარდანი მდებარეობს ციკლოპოლის მთა-გრენილის კალთებზე, სიღნაღის მხრის ნაწილში, წინამხარში. თვით მდებარეობა და ბუნება ს. კარდანის სწორედ მშენებლისა და ეს არის მიზეზი, რომ ციკლოპოლის და სხვა ავად-მყოფობა აგრე რიგად არ აწუხებს კარდანიელებს.

ს. კარდანი კარგა დიდი სოფელია წინამხარში. ძველი კამბოჯური აღწერით აქ ითვლება 611 კომლი გლეხი, 20 თავადი და 10 კომლადე ახნაური. დღეს კარდანში 800—900 კომლადე აქნება. მცხოვრებთა რიცხვი 30 კომლადე სომეხთა საწმინდოებისანი არიან, დანარჩენნი-ვი მართლ-მადიდებლები.

შუა სოფელში ჩამოდის სევი, რომელიც სოფელს ორ ნაწილად ჭიკოფს—ზემო-უბანი და სვეის-უბანი. ეს სევი წინად კარგა დიდი მოდიოდა, ასე რომ სოფელს საკუთარი წინაქილები ჰქონდა. დღეს სათავეში ტყის გაკაფვამ ძლიერ შეამცირა წყალი და საფრულობით ისე შეატარა მოდის, რომ სასმელად-ც-ვი ხალხს და პირუტყვს ძლიერ უხვდება. ამ წყალს ასალი კარდანის მემამულე ჭიკოფს და მიღებით გაჭყავს სასახლესთან ბაღის საწყვავად. ეს წყლის გაყოფა საფრულობით, უკუჭედა, ისეთ საქმეს დაჭმართებს სვეის-უბნელებს, რომ მათ წყლის ზიდილი სასმელად ზევით, უბნის წყაროებიდან მოუსდებათ.

ხენა-თესვას კარდანიელები აგრე რიგად არ მისდევენ, რადგან კარდანის მინდვრები, თითქმის სულ თინა და ქვიშა და შური კარგი არ მოდის.

ეს არის მიზეზი, რომ კარდანიელების შრომა თითქმის მარტო კენახების შემუშავებაზე არის დამყარებული.

კენახების შემუშავება კარდანში ძლიერ კარგად შეიგნეს. კანთში კენახები ისე კარგად არსად არიან მოკლდენი, როგორც კარდანში, ამიტომ დღეს კარდანის ლეინო თუ მომეტებული დიწხებისა არ არის, ვეკო-კახილის ღვინოებს არაფრით არ ჩამოუტრიახა.

თვით უკანასკნელი გლეხის ღვინო-ვი აქ იყიდება არა ნაკლებ ვეკი თუმინისა სახანე, მომეტებული-ვი სახანე ღვინო თითონ იყიდება ათ თუმნადე და წითელი თსუთმეტ თუმნადე. ერთი სიტყვით კარდანიელებს სული უდგათ დღეს კენახებით. ამით აისხნება, რომ ეს ორი წელიწადია რაც კარდანის გლეხებს დაეტოვებ ცხოვრების ნიშნ წყალი, რადგან ამ ორ წელიწადს კენახები მოსავლით სულ უწყობდნენ მუხტონით.

იშვითი-და არის კარდანში წნულ-ჩაღა დასურული ქიხები. სამაგიეროდ მშენებელი ფიქრული და ქეთვირის სასა-ლები კარმით დასურული ძლიერ გან-შირდა.

იმედია, რომ თუ ორი სამი წელი კენახების მოსავალი მშვიდობით დაჭკრი-ფეს, კარდანი ერთი ორად გაკეთდება

და მცხოვრებლების კონომიურ მდგომარეობას შეტი სიკეთე დაეტყობა.

ს. კარდანი სპატონო სოფელია, (რამდენიმე კომლი სასახლი გლეხებიც არიან აქ): ამ ბოლოს დროს, თითქმის მომეტებული ნაწილი კარდანში შეიყვინდა მუხტონებისაგან ნადელები. ნადელების გარდა ზოგიერთები კენახებსაც ჭყიდულობენ. რადგან საკუთარი სამო-კარი მინდვრები არა აქვს კარდანს, ამ მიზეზით საქმის ჯოგი აქ იშვითია მართალია, ჭყავს ზოგიერთებს კარდანში-შიაც მცხარი და ღარი, მაგრამ ისე სშირად არა, როგორც ქიხიში.

სხვა სოფლებისაგან, კარდანიც არ არის მოკლებული სამიკიტონებს. აქ სუ-თი მიკიტონს დუქანი და ერთიც ფარ-ჩისა. დუქნები ადგილობრივ გლეხებს-ვე აქვთ გამართული და ნისიაობა აქ ად-ვილია,—ეს არის მიზეზი რომ დუქნები აუარებელ ხალხს იხიდევენ. არყის გაყიდ-ვის შევიწროებამ შედგათი მისცა ხალხს. ღვინის უქონლობის გამო გასაფრულში და საფრულში ხალხი არაფს ძლიერ ეტ-ხნებოდა და სშირად შეხვდებოდათ არყით მიგნალ ხალხს; ესეა კი, ცოტა არ არის, არაფს ხალხი მოკრიადა.

ს. კარდანში ერთ-კლასიანი სასოფ-ლო სკოლაა, სადაც სამოცდა სუთი მოს-წავლება: ორი ქალი და ორმოცდა სუთი ვაჟი.

საზოგადოდ უკლებან, სიღნაღის მხ-რში, სკოლას აგრე რიგად ნდობის თვლით არ უყურებდენ და ეს იყო მი-ზეზი, რომ სკოლაში ათ და ოც მოს-წავლეს ძლიერ ნასავა კაცი, ესეა კი ცოტა არ იყოს ხალხმა შეიგნა არა სკოლაზე და დღეს თითქმის უკლებ სკო-ლებში, სიღნაღის მხრში, მოსწავლეთა რიცხვმა იმატა.

თუმცა ესეანდელი სკოლის შენობა ძლიერ შეატარა არის და უკარგისიც, მაგრამ ასალი სკოლის აშენებას ვიდრე უკლებენ მთავრობის გეგმის თანხმად. ასალი შენობის გათავების შემდეგ მოს-წავლეთა რიცხვი იმატებს, უკლებია. ესეც რომ არ იყოს, კარდანში ამ ბო-ლოს დროს სკოლაში შესვლის მსურვე-ლი ძლიერ ბევრია, ასე რომ აქ ორ-კლას-სიანი სასწავლებელიც თითქმის სამყოფი არ იქნება უკლებ მსურველების დასაკმა-ყოფილებად.

თუ ესეა არა, რამდენიმე წლის შემ-დეგ, უკლებია, თვით სოფელიც დაქმნ-ება მთავრობას, რომ აქ ორ-კლასიანი სასწავლებელი დააწესოს.

ი. კახელი.

ხაშური, აბილის 30-ს. აგერ რამ-დენიმე თვე იქნება რაც ხაშურს ერ-თი აქციონის ჩინოვნიკი (ნადმორჩი-კის) თანამდებობაზედ ბ. გრასოვსკი ეწვია, რომელმაც თავის მანქანურის ქცევით ისე გაუჭირა საქმე საწყალ-სოფლის ვაჭრებს და ზოგიერთ გლე-ხებს, რომ დედა-მიწასთან გაასწორა, ასე რომ ამ უკანასკნელთ ცისმარე-დღეს სულ სასამართლოს წინ ამოს-დით სული. თუ რომ სოფელში მო-

სელის უმაღლეს კარგს სამზადისს არ დაუმზადებენ და კარგად არ მოასვენებენ, მაშინვე უყენებს ოქმს, უკრე-ფავს ტყუილს შარსა, ზოგს გრადუს-ზედ ოტკა არ გამოუვაო, ზოგმა თა-ნამდებობის ასრულების დროს წინა-აღმდეგობა გამიწიაო, და ადგენს ამისთანა ოქმებს ზოგს გამამძიებელ-თან და ზოგს მომრიგებელ-მოსამართ-ლესთან!

თუ რომელიმე მოხელე უარს ეტყვის ოქმებზედ ბეჭდის დასმაზედ, მაშინ ბ. გრასოვსკი არა თუ მოქმე-ლობს კანონისა და წესდებისამებრ, არამედ იგი დაუწყებს მას თავ-პირ-ში ცემას და ძალა-უნებურად ასმევენებს ბეჭედსა? და თუ ვინიცო-ბა რომელიმე ძალზედ დაუდგა და არ დაუსვა ბეჭედი, ივლებს ხელს რე-ვოლუცერზედ, დაუწყებს მუქარასა, რის-გამოც მოხელე უსრულებს სურ-ვილს. ბ-ნი გრასოვსკის ამისთანა უკა-ნონო საქციელს სხვას ვერაფერს და-ვაბრალბ გარდა იმისა, რომ მას ძა-ლიან უყვარს პილატეს ცრემლი და ბახუსის წვენი: ძნელია რომ კაცმა იგი თანამდებობის აღსრულების დროს ფხიზელი ნახოს. მკითხველმა რომ ჩემი სიტყვები ლიტონ სიტყვებად არ მიიღოს, მოვიყვან რამდენიმე სა-ბუთს:

ა) ამ აპრილის 18-ს ბ. გრასოვსკი, საიდგანლაც მოსულიყო სოფელს მა-ყაში ისე ზორბად შექეფიანებული, რომ რევიზიის თავი აღარა ჰქონებო-და; მოსელისავე უმაღ, ყოვლის უმი-ზეზოდ, დაეწყო ცემა ამ სოფლის მოხელე ღვით მოსიაშვილისათვის მხოლოდ იმისათვის, რომ მე მოვლი-ოდი და რატომ ცხენი შეკაზმული არ დამახვედრო; ისე უღმერთოდ ეცემა, რომ ცხენი-პირიდან სისხლი ედინებინა; ამასაც არ დაეჯერებინა და ხმლით დაჩეხა დაეპირებინა, მაგ-რამ იქ დამსწრეთ, ბაღლო და მელ-ქო მელოცევენს და გეო ბეარამძეს რის ვინაჩრობით შეეკავებინათ. შემ-დეგ რაკი-ლა ცხენზედ ჯდომის თავი აღარა ჰქონოდა, თავად ბეგთა-ბეგოვს თავის ფაეტონში ჩაესვა და სტ. ბომ-ში გაეგზავნა. თანხმად მომჩიერის მოსიაშვილისა ბატონმა სურამის პო-ლიციის მოხელემ, მოახდინა გამო-ძიება და ყოველივე დამტკიცდა, რის შემდეგაც გამოძიების ოქმი წარადგი-ნა სადაც ჯერ არს.

ბ) ამას წინად ბატონი გრასოვსკი; მოვიდა ბომის სტანციაში, მედუქ-ნე მამაცაშვილთან ჩამოხტა და დაიწყო მისი დუქნის ჩხრეკა. რაკი ვერა-იპოვარა დაჯდა დუქანში და დაიწყო სმა. ბოლოს დროს მედუქნემ მისცა ანგარიში ძველი და ახლის დანახარ-ჯი ექვსი მანათისა, რაკი მან ძა-ლიან იტყვიდა და უთხრა მედუქნეს, რომ მე ნება მაქვს მუქთად ვკამო და-ესვაო. რომ ნახა რომ თავის ხრიკე-ბით ფანს ვერ გავიდოდა, აიღო და ექვსი მანათის მაგიერად რვა აბაზი გადუქარა და თითონაც გაიქცა სხვის დუქანში: იქიდან დაუწყო მუქარა, რომ დუქანი დაკეტე და შიგ აღარავინ

შეუშვაო; რასაკვირველია, ამ ნაირი უწყსო მოთხოვნილები, მძნე (შეგნა) არ აასრულა; შემდეგ ბატონი გრასო-ხოვსკი თავის ამფსონი ბომის გან-დარმით მობძანდენ დუქანთან, დუ-ქანში მყოფი მძინარე ხალხი წამოყა-რეს და შეუდგენ ოქმის შედგენასა, მაგრამ რაკი ხელის მოსაკიდი საბუთი ვერა იპოვესრა, ადგენ და ისე ისე წაბძანდენ. რომ მედუქნე მათს უკა-ნონო ქცევას არ გამოჰკიდებოდა, მე-ორე დღეს სხენაირი ოქმი შეედგი-ნათ, ვითომც მედუქნეს თანამდე-ბობის ასრულების დროს წინაღმ-დეგობა გაეწიოს იმისათვის თავის ამფსონები მოწმად დასწერა და მამა-სახლისის თანაშემწესთვის ძალით ბე-ჭედი დაესმევენებინა. ახლა საქმე გამამძიებლისთვის გადაუცია; რასა-კვირველია გამოძიება ნამდვილს აღ-მოაჩინს და ვგონებ კიდევ უღვიარე-ბია მამასახლისის თანაშემწეს, რომ ძალით ბეჭედი დამასმევენაო.

აქციონის ზედამხედველის თანაშემწე ბატონმა თანამშევემა კარგად იცის რომ გრასოვსკი არ იქცევა წესიერად და რამდენჯერმეც თვითონაც ნახა, რომ სიმთვრალით მკვლარ-ცოცხალს გრასოვსკის თავის სახლში მითარე-დენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყურს მა-ინც არ იბერტყავს.

საშურელი.

დავა შეუ აზიაში

◆◆ ამ ქამად სრული ყურადღება მეროპისა და რუსული გაზეთებისა ლორდ ლიუფერინსა და ლემსდენზეა მიპყრობილი. ზოგიერთა გაზეთები ამტყუნებენ იმ ამბავს, ვითომც ლორდ ლიუფერინს სამსახურიდამ და-თხოვნის ქალაღი შეეცანოს. ინდო-ეთის ვიცე, კოროლი თვით, რაც შეეძლო, უწყობდა ხელს მორიგების ჩამოგდებასაო. მაგრამ ამავე დროს ბევრი სხვა გაზეთები, მათ შორის მენის ოფიცოზური გაზეთიც, იწე-რება რომ ლორდ ლიუფერინისაგან ყოველ დღე, ზედი-ზედ მისდის ლონ-დონის მმართველობას დეპეშები, სა-დაც ვიცე-კოროლი თხოულობს, რომ არავითარი დათმობა, თავაზი არ გაუწიოთ რუსეთს, თუ არა გსურთ რომ ინგლისის სახელის გაგლენა სრულებით ამოიფხვრას ინდოეთში კერძოდ და სრულიად საშუალო აზია-ში საზოგადოდო. ამ გვარივე შეუ-თანხმებლობა სუფევს გაზეთების შო-რის ლემსდენის გამოხმობის თაობა-ზედ. მართნი იწერებიან ლემსდენი სკირიათ ლონდონში, როდესაც სა-ზღვარზე იქმნება სჯაო, სხენი-კი მოუთხოვრებენ, რომ ლემსდენი თავის ნებით მიდის ლონდონს, იგი შეუ-რაცხეოთილად ხადის თავის თავს, რადგან ინგლისის მთავრობამ პატი-ვი არ დასდო მისს წინადადებით; ზოგი გაზეთები იმასაც იწერებიან, რომ ლემსდენის გამოხმობა აელანი-დამ რუსეთის საქმეაო. რუსეთმა აი-

ძულა ინგლისის მმართველობა გაცემო გენ. ლემსდენი ლონდონში, რადგან იგი მოურიგებელი მტერია რუსეთისა და აქეზებს ამათ წინააღმდეგ ავღანელებს. ასეა თუ ისე—ორთავ ამ შესანიშნავი პირების სამსახური-დამ გამოხელის ამბებმა ერთობ ცუდი შთაბეჭდილება იქონია როგორც ინდოეთში, აგრეთვე ინგლისში და ავღანში. მაგრამ ყველა ამის მიუხედელოდ ბლადსტონის სამინისტროს კიდევ ფეხ-მაგრობა ეტყობა, თუმცა რაზონიური დასი ყოველის მხრით შეუზღდა და უკიჟინებს მას. ეს რაზონიური დასი უმთავრესად იმით და-მარცხდა, რომ გლადსტონის სამინისტროს ჩაუგდო ხელთ 11 1/2 მილ. გირვ სტერ. კრედიტი. მკოზიცი-რამს თხოულობს, ინგლისის სახელის აღდგენას საშუალო აზიაში და საზოგადოდ მთელს ქვეყანაზე და ამ დროს-კი,—თუმცა მცირე ხმის უმეტესობით,—11 1/2 მილ. კრედიტი ბლადსტონის მშვიდობიანობის მსურველ სამინისტროს უვარდება ხელთ...

◆◆ „პოლიტიკურს ჰორიზონტზე შავი ღრუბელი კვლავ აღმოჩნდენო“—ასე იტყვიან ყველანი, რომელნიც დღევანდელ ტელეგრაფებს ჩაიკითხვენ. „მძირი პროკლამაციას სცემს, ქებას ასხამს თვის ჯარს და ინგლისთან კავშირს დიდს მნიშვნელობას აძლევს. რუსები ზულფა-გირს იჩემებენ, რადგან ეს ჩვენთვის სასარგებლო პუნქტია, ავღანელები კი, დახეთ იმათს სითაგნედეს, არ ანებებენ ამ გასაგალს. რუსები ეწინააღმდეგებიან ინგლისელ აფიცრების ყოფნას ჰერათში, სადაც ამ აფიცრების ხელმძღვანელობით ქალაქის გამაგრებისათვის წარმოებს მუშაობა... ბანაკიდ-ლა რამ საჭირო, რომ „ცეცხლი“ გაჩნდეს? თუ ბლადსტონის სამინისტრო კვლავ არ მიჰყვა „დათმობითს პოლიტიკას“, აღარ უნდა მოუცადოს ზამთარს, როდესაც ზღვის მეფის ინგლისის ძლიერება ვერას გახდება გაყინულს ზღვებში და ხმელეთზე-კი რუსეთი მარტო მას ცუდს დღეს დააყენებს.

წერილი რედაქტორთან

შმორჩილესად გთხოვთ თქვენს გახეთში გამოუტყდალოთ ჩემი გულითა-დი დიდი მადლობა მუთაისში თავადს დიმიტრი ლადიანს, ბიორგი წერეთელს, და ძირილვე ლორთქიფანიძეს; მუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს ბ. ჰიკინაძეს, თავდგირიძეს და სხვა მასწავლებლებს ამ სკოლისას; მწყემსის რედაქტორს მამა ლამბაშიძეს, თავადთ აბაშიძეს, ლორთქიფანიძეს, ჩხვიძეს, ავალიანს და სხვათა; ბურიაში ბ. ბ. ბერიძეს, თავადს მრისთავს, ნორაქიძეს, ბუგუნავას და თავდგირიძეს; ბორში სოფრომ მაგლობლიშვილს, პონსტანტინე ბეარამაძეს და სხვათა. ძი-

რულოს ილია ბახტაძეს და სხვებს. მითხრე ბოდიშს, რომ ყველას საკუთარს პასუხს ტელეგრაფით ვერ ვუძღვნი, რადგანაც ბევრი მოგროვდა.

თქვენი პატივისცემული კოსტ. შამაგაშვილი.

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

მაისის 7.

ტირაპული. ემირმა გამოსცა შროვა-ლაშაჯია, რომელითაც ცამდის აქუფს ავღანელების სიმამაცე შენჯდესთან შეტაკების დროს და დიდს მნიშვნელობას აძლევს ინგლისთან დაკავშირებას. ჭკრათში ყოველ-დღე მოდიან ჯარები.

ლონდონი. გ.წ. „Standard“-ა ამბობს, რომ ასალი დამაბრკალებელი მიზეზნი აღმოჩნდენ ზაულფაგანის შესახებ: ემირი ზაულფაგანს თავის-თვის თხოულობს; რუსებს-კი, რადგან-ნაც ამ ადგილს დიდს მნიშვნელობას აძლევენ, უნდათ, რომ რუსეთს დარჩეს. ამბობენ აგრეთვე, რომ რუსეთი წინააღმდეგია, ინგლისის აფიცრები ჭკრათში იყვნენ.

ნეპოლი. გუშინ სადამოყვად მადიან ამოფეთქა გესუვიამ ზომბეის მხრათ.

ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაასრეს სასსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ვადმუფთნი მიიღებინ დილის 8 საათიდან 12 საათამდე.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანი—8 საათიდან 9 საათამდე საბუბო, სჟაქუბო და საბაკუბო ვადმუფთობის; სჟამლეზად ბენკლევსკი—10—11 საათამდე—სახირურგო, სიფილისის ვადმუფთობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და უურის ტკივილის საწამლებად; შტემბოლსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სსუელზე გამყოფი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა ვარალევიჩი რჩებათობით 9—10 საათამდე შინაგან ვადმუფთობის წამლობისათვის; კორონა რჩებათობით, სამებათობით, სუთებათობით, და შებათობით შინაგან ვადმუფთობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამებათობით და შინაგან ვადმუფთობით 9—10 საათამდე ხირურგიული ვადმუფთობისათვის; ხამჩინსკი სამებათობით და შებათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებად; ვრანსოვლიაძე რჩებათობით და შინაგან ვადმუფთობით 10—11 საათამდე შინაგან ვადმუფთობათა წამლობისათვის; ვოლქსონი კბილის ტკივილის საწამლებად მიიღებს თავის სასწამლო ყოველთვის დარბ ვადმუფთებს, რა-

მკლავს სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

გაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ლუქნებში და ხელდა-ხელ 1. მაისიდან 15 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი ჰური რუ-სეთის ფქვილისა — — 1 გრ. 5 კ აქურის ფქვილისა: შირ-ველის ხარისისა— — 1 გ. 2 1/2 მეორისა — — 1 გ. 2 კ

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

შირველი ხარისისა — 1 გ. 4 1/2 მეორისა — — 1 გ. 3 კ მესამისა — — 1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის ჰური:
შირველის ხარის ლავაში 1 გ. 4 1/2 მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 3 1/2 მესამისა — — 1 გ. 3 კ

მროსის სორცი:
შირველის ხარისისა— 1 გ. 8 კ მეორისა — — 1 გ. 7 კ სუკი — — 1 გ. 15 კ ცხურის სორცი — — 1 გ. 9 კ

ღორის სორცი:
შირველის ხარისისა 1 გ. მეორისა — — 1 — გ.

ჩაინის გზა

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის 8 საათზე და 31 წამ. დილით.

თბილისიდან მარტო ხაშუ რამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე და 45 წამზე დილით. (სამშაბათობით და შაბათობითსაჩქ რა 10 ს. 58 წ დაძით.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზე და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან და ბათუმიდან მოძავადი თბილისში შემოდის 10 საათზე და 25 წამ. დამით.

მარტო ხაშურიდან მოძავადი თბილისში შემოდის 8 საათზე და დილით.

ბაქოდამ მოძავადი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.

(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარა 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

პირას მაისის 12-ს

სოფ. მრბელს, (ლენხუმის მხარაში) სასოფლო სკოლის სადგურში, ადგილობრივის მთავრობის ნება დართვით, „ქართველთა შორის წერა-კით-

ხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ, ამჟვე სსზოგადოების დამმართველის წევრებს: თქვენსა-რო ბელოვანის თავოსნობით გამართულ იქნება

სალიტერატურო საღამო

დახლოებულს მონაწილეობას მიიღებენ ქ. ქ. ღესინა შარვაშიძე-ბელოვანისა, ნინა, მრისთავი — ბელოვანისა, მსანა ბელოვანის ასული. ბ. ბ. ა. ზამრეკელი. მარ. ბაბიჩაძე, მაიხოსრო ბელოვანი და სხვანი.

საღამო შესდგება ჩვენი საუკეთესო პოეტების ლექსების წაკითხვით, აგრეთვე სცენებისა, და სამეცნიერო თხზულებებიდან იმ ალაგების წაკითხვით, რომელნიც შეეხებიან კაცის შთამომავლობითი სიმრთელის დაცვას; ლეკურისა, და აფხაზურის თამაშობით. საღამო დასრულდება სიტყვით, რომელსაც წარმოსთქვამს მაიხ. ბელოვანი შესახებ იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენის ხალხის გონებითი წარმატებისათვის „წერა-კითხვის საზოგადოებას“ და რა საგნის მისაღწევად იღწვის იგი. დასაწყისი ნაშუადღევის მეშვიდე საათზედ. ადგილების ფასი იაფია. (3 3)

ქერას მაისის 19-ს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ მმართველობისაგან სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში დილის 10 საათზედ დანიშნულია

წლიური კრება

„საზოგადოებისა“ კრების განსახილველად შემდეგი საგნებია დანიშნული:

ა) მოსმენა და დამტკიცება საზოგადოების მოქმედების ანგარიშისა 15 მაისიდან 1884 წ.—15 მაისამდე 1885 წ.

ბ) მოსმენა და დამტკიცება მოსალოდნელის ხარჯისა და შემოსავლისა მომავალს საანგარიშო წლის განმავლობაში

გ) ამორჩევა მმართველობისა და საზოგადოების ახალ წევრთა.

მმართველობა სთხოვს „საზოგადოების“ იმ წევრთ, რომელთაც საწევრო ფული ჯერ არ შემოუტანიათ, დააჩქარონ შემოტანა აწ დანიშნულ კრებამდე (5—3)

მსურს

გამკებლობა მამულისა

ჟეიდი

ძარგს ცხენებს დროგებით. აღრესი ტუკია, აღექსანდრეს ქუჩა, № 72.

(4—4)